მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს განცხადება რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სულიერი ლიდერების სამმხრივი შეხვედრის შედეგების მიხედვით

/2021 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის დანილოვოს სტავროპიგიალური მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარის შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადესა და ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქისა და კათოლიკოსის გარეგინ II შეხვედრა გაიმართა. სომხეთისა და აზერბაიჯანის რელიგიური ლიდერები რუსეთის დედაქალაქში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის მიწვევით ჩავიდნენ – სამხრეთ კავკასიაში მრავალწლიანი კონფლიქტის შედეგების დარეგულირების გზებზე სამსჯელოდ, რომელიც მთიანი ყარაბაღის პრობლემიდან წარმოიშვა. შეხვედრის შედეგების შესახებ უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ განცხადება წაიკითხა.

ჩვენ ახლახანს რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სულიერი ლიდერების სამმხრივი შეხვედრა დავასრულეთ, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურების შუამავლობით სამშვიდობო მოლაპარაკებების 30 წელზე მეტ ხნიან ტრადიციას აგრძელებს.

მადლობას ვუხდი პატივცემულ ყოველთა სომეხთა უმაღლესს პატრიარქსა და კათოლიკოსს გარეგინ II-სა და კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარეს შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს მათი მზაობისთვის, შეხვდნენ და პირისპირ განიხილონ რთული პრობლემები, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასი ორი მოძმე ხალხის მოსახლეობასა და რელიგიურ თემებს აწუხებთ.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი რელიგიები უნიკალურ სამშვიდობო პოტენციალს ფლობენ, განსაკუთრებით ისეთ ფაქიზ და მგრძნობიარე სფეროში, როგორიც არის ეთნიკური ურთიერთობები. რაც არ უნდა რთული იყოს სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა ამ ეტაპზე, ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ღვთისადმი რწმენა და სიყვარული დაეხმარებათ მრავალწლიანი ტრაგიკული დაპირისპირების შედეგად მიყენებული ჭრილობების განკურნებაში. ეს არის ძალიან რთული გზა, ის სულიერ სიბრძნესა და გამჭრიახობას მოითხოვს.

კავკასია ყოველთვის ხალხების, ენებისა და კულტურების უზარმაზარი მრავალფეროვნებით იყო განთქმული. აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხისთვის, არ არსებობს სხვა მომავალი მშვიდობიანი თანაცხოვრების გარდა. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხის ერთმანეთის მიმართ ნდობის აღდგენა, მეზობლის პატივისცემით მიღებისა და ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნის ხელახლა სწავლა.

ამგვარი ცვლილების საწინდარია – რელიგიური სიწმინდეების, ისტორიული ძეგლებისა და საფლავების პატივისცემაა, განსხვავებული რწმენის მქონე ადამიანების რელიგიური გრძნობების პატივისცემა და გარდაცვლილთა ხსოვნის მოფრთხილებული დაცვა. რელიგიურ ლიდერები მოწოდებულნი არიან თავიანთი ავტორიტეტი გამოიყენონ, რათა რელიგიებსა და ხალხებს შორის კეთილმეზობლობის ატმოსფერო ააგონ და შეინარჩუნონ.

მოვუწოდებთ, გაირკვეს უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ბედი, ხელი შეუწყონ სამხედრო ტყვეების გათავისუფლების პროცესს და არ დაუშვან იარაღის უსანქციო გამოყენება, რომელიც მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

აუცილებელია მომავალში მთელი ძალებით ვესწრაფვოთ სიძულვილის ენის თავიდან აცილებას, თავი შევიკავოთ კონფლიქტის ზონაში სამხედრო მოქმედებების მოწოდებებისგან. მოვუწოდებთ ახალგაზრდებს, არ მიეცნენ აგრესიისა და რადიკალიზმის სულს, ეძიონ მშვიდობა უპირველეს ყოვლისა.

რელიგიური ლიდერები მზად არიან აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხების შერიგებას ხელი შეუწყონ ახლანდელი და მომავალი თაობების სასიკეთოდ და ასაყვავებლად.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის მხრივ ლოცულობს მისთვის ახლობელი ორი ხალხის შერიგებისთვის და მზად არის ყოველმხრივ განაგრძოს ხელშეწყობა, რათა სამხრეთ კავკასიაში მდგრადი და სამართლიანი მშვიდობა გამეფდეს.

***

მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით მოსკოვის საპატრიარქოს სამშვიდობო ძალისხმევას 1988 წელს დაედო საფუძველი. სამი რელიგიური თემის მეთაურთა პირველი სამმხრივი სამშვიდობო შეხვედრა 1993 წლის მაისში შედგა მოსკოვის დანილოვოს მონასტერში. რუსეთისა და ამიერკავკასიის რელიგიური ლიდერების წინა სამმხრივი შეხვედრა რელიგიათშორისი ფორუმების ფარგლებში ჩატარდა 2010 წელს ბაქოში და 2011 წელს ერევანში, ასევე 2017 წელს მოსკოვის დანილოვოს მონასტერში.

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური/

ფოტო: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88243/